პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 271 (13087) | ხუთშაბათი, 19 ნოემბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

19 ნოემბერი რაკეტული ჯარებისა და არტილერიის დღეა

დიდება სსრ კავშირის ძლევამოსილ შეიარაღებულ ძალებსა და მათ სახელოვან რაკეტულ ჯარებსა და არტილერიას!



ერთგულება ლენინური ორგანიზაციული პრინციპებისადმი

გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ, რომელიც 1964 წლის 16 ნოემბერს გაიმართა, და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სამრეწველო და სასოფლო საოლქო, სამხარეო პარტიული ორგანიზაციების გაერთიანების საკითხი, აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში „სამრეწველო და სასოფლო საოლქო, სამხარეო პარტიული ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ“ ნათქვამია:

„კომუნისტურ მშენებლობაში პარტიისა და მისი აზდილობრივი ორგანიზების ხელმძღვანელი როლის გაძლიერების, თვითთეული ოლქის, მხარისა და რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული განვითარების ამოცანების უფრო წარმატებით გადაჭრის მიზნით საჭიროდ იქნას მიჩნეული დავუბრუნდეთ ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნით პარტიული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების აპპების პრინციპს, როგორც ეს ბოლშევიკური პარტიის ისტორიული კანონზომიერებაა, რომელსაც განსაზღვრავს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის თავისებურებანი და განაპირობებს გადასაწყვეტ ამოცანათა სიდიადე და სირთულე.

ორგანიზაციულ საკითხებში, თავის დამოკიდებულებაში ორგანიზაციის ფორმებისადმი, მუშაობის მეთოდებისადმი, ისევე როგორც თეორიის საკითხებში, ჩვენი პარტია ერთგულად იცავს მარქსიზმ-ლენინიზმს. რომელიც არსებითად ღრმად შემოქმედებითი, რევოლუციური მეცნიერებაა, რომელიც ვერ ურიგდება აზრის მოდუნებას, უძრაობას, კონსერვატიზმს. მას არასოდეს არ მიაჩნდა და არ მიაჩნია, რომ დაწესებული ფორმები ორგანიზაციისა და მეთოდები მუშაობისა გამოსადეგი იყოს რევოლუციური პროცესის ყველა საფეხურისათვის. ორგანიზაციის ფორმებსა და მუშაობის მეთოდებს განსაზღვრავს კონკრეტული ისტორიული ვითარების თავისებურებები. კონკრეტული პოლიტიკური, ეკონომიური და იდეოლოგიური ამოცანები, რომლებიც წყდება მოცემულ პერიოდში.

მაგრამ ყოველი რეორგანიზაციის აუცილებელი, სავალდებულო პირობაა პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური პრინციპებისა და ნორმების ურყეობა. ახალი, უკეთესი ორგანიზაციული ფორმების ნამდვილ შემოქმედებითს ძიებას საერთო არა აქვს რა დაუსრულებელ გარდაქმნებთან. ვ. ი. ლენინს დიდ უბედურებად მიაჩნდა გარდაქმნებითი-ბატაცება. როცა ეს გარდაქმნები ყოველმხრივ მოფიქრებული, გულდასმით აწონილ-დაწონილი, პრაქტიკულად შემოწმებული არ არის. ამასთან იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მთავარია არა დაწესებულებანი, არა გაუთავებელი რეორგანიზაციები, არა ახალი დეკრეტები. არამედ ადამიანები, ადამიანების შერჩევა, შესრულების შემოწმება.

რამდენადაც ეს ნაკარნახევია ობიექტური საჭიროებით, პარტია სრულყოფდა და კვლავაც სრულყოფს ორგანიზაციულ მუშაობას. მაგრამ ორგანიზაციული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შეცვლას განსაზღვრავს პოლიტიკური და ეკონომიური საჭიროება, პრაქტიკული მიზანშეწონილობა. ეს შეცვლა უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ მაშინ, როცა ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ ძველმა ფორმებმა თავისი როლი შეასრულეს, და გამოუსადეგარი არიან ახალ პირობებში. აქ საჭიროა უაღრესად მეცნიერული მიდგომა. იქ, სადაც საქმის არის, რომ იგი ხალხისათვის არსებობს და ხალხისადმი სამსახური მიაჩნია თავისი საქმიანობის აზრად, რომ თავისი პოლიტიკით გამოხატავს ხალხის ძირეულ ინტერესებს, საბჭოთა საზოგადოების განვითარების საარსებო მოთხოვნილებებს. პარტია ნათლად ხედავს საბოლოო დიდ მიზანს, უჩვენებს ხალხს ამ მიზნისაკენ წინსვლის მეცნიერულად დასაბუთებულ გზებს, ულვიძებს მასებს გიგანტურ შემოქმედებითს ენერგიას და წარმართავს მას გრანდიოზული ამოცანების გადასაჭრელად.

XXII ყრილობის შემდეგ განვლილმა დრომ საკმაოდ დაადასტურა ცხოველმყოფელი ძალა სკკპ პროგრამის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დასკვნისა. კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის კერიებიდან ახასიათებს **კომუნისტური პარტიის**, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის, **როლისა და მნიშვნელობის შემდგომი ზრდა**. ხალხის მასების შემოქმედებითი აქტივობის განვითარება. პარტიის როლის ზრდა ობიექტური ისტორიული კანონზომიერებაა, რომელსაც განსაზღვრავს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის თავისებურებანი და განაპირობებს გადასაწყვეტ ამოცანათა სიდიადე და სირთულე.

ორგანიზაციულ საკითხებში, თავის დამოკიდებულებაში ორგანიზაციის ფორმებისადმი, მუშაობის მეთოდებისადმი, ისევე როგორც თეორიის საკითხებშიც, ჩვენი პარტია ერთგულად იცავს მარქსიზმ-ლენინიზმს. რომელიც არსებითად ღრმად შემოქმედებითი, რევოლუციური მეცნიერებაა, რომელიც ვერ ურიგდება აზრის მოდუნებას, უძრაობას, კონსერვატიზმს. მას არასოდეს არ მიაჩნდა და არ მიაჩნია, რომ დაწესებული ფორმები ორგანიზაციისა და მეთოდები მუშაობისა გამოსადეგი იყოს რევოლუციური პროცესის ყველა საფეხურისათვის. ორგანიზაციის ფორმებსა და მუშაობის მეთოდებს განსაზღვრავს კონკრეტული ისტორიული ვითარების თავისებურებები. კონკრეტული პოლიტიკური, ეკონომიური და იდეოლოგიური ამოცანები, რომლებიც წყდება მოცემულ პერიოდში.

მაგრამ ყოველი რეორგანიზაციის აუცილებელი, სავალდებულო პირობაა პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური პრინციპებისა და ნორმების ურყეობა. ეს ნიშნავს, რომ ეს ორგანიზაციული ფორმები ნამდვილ შემოქმედებითს ძიებას საერთო არა აქვს რა დაუსრულებელ გარდაქმნებთან. ვ. ი. ლენინს დიდ უბედურებად მიაჩნდა გარდაქმნებითი-ბატაცება. როცა ეს გარდაქმნები ყოველმხრივ მოფიქრებული, გულდასმით აწონილ-დაწონილი, პრაქტიკულად შემოწმებული არ არის. ამასთან იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მთავარია არა დაწესებულებანი, არა გაუთავებელი რეორგანიზაციები, არა ახალი დეკრეტები. არამედ ადამიანები, ადამიანების შერჩევა, შესრულების შემოწმება.

ობიექტური საჭიროებით, პარტია სრულყოფდა და კვლავაც სრულყოფს ორგანიზაციულ მუშაობას. მაგრამ ორგანიზაციული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შეცვლას განსაზღვრავს პოლიტიკური და ეკონომიური საჭიროება, პრაქტიკული მიზანშეწონილობა. ეს შეცვლა უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ მაშინ, როცა ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ ძველმა ფორმებმა თავისი როლი შეასრულეს, და გამოუსადეგარი არიან ახალ პირობებში. აქ საჭიროა უაღრესად მეცნიერული მიდგომა. იქ, სადაც საქმისადმი მეცნიერულ მიდგომას ცვლის სუბიექტივიზმი, პროექტერობა, თვითნებური და ნაჩქარევი გადაწყვეტილებები, იქ გარდუვალია წარუმატებლობა, შეცდომები.

ჩვენი პარტიის ცხოვრებაში ნამდვილი ლენინური ნორმების აღდგენას დასაბამი მისცა სკკპ XX ყრილობამ, რომელმაც თვალსაჩინო როლი შეასრულა კომუნისტების, ყველა მშრომელის შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის განვითარებაში. სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების გზაზე უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი იყო ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბერში გაიმართა. ამ პლენუმის გადაწყვეტილებები, რომლებიც მოიწონეს და რომლებსაც მხარი დაუჭირეს მთელმა პარტიამ, მთელმა ხალხმა, ახალი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ ზრუნავს ცენტრალური კომიტეტი პარტიის გენერალური ხაზის წარმატებისა განხორციელებისათვის, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპის განუხრელად დაცვისათვის. კვლავ დადასტურდა ჩვენი პარტიის მონოლითური ერთიანობა, მის გარშემო საბჭოთა ხალხის მტკიცე შეკავშირება.

ПРАВДА

18 ნოემბრის მოწინავე

ლენინური ანდერძისადმი მტკიცე ერთგულებით გამსჭვალულია აგრეთვე გადაწყვეტილებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეს-ეს არის დამთავრებული პლენუმისა, რომელმაც მიიღო დადგენილება „სამრეწველო და სასოფლო საოლქო, სამხარეო პარტიული ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ“.

როგორც ცნობილია, ორი წლის წინათ განხორციელდა პარტიული ორგანიზაციების გარდაქმნა ეგრეთწოდებული საწარმოო პრინციპის მიხედვით, რის შედეგადაც ერთიანი სამხარეო და საოლქო პარტიული ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა გაიყო ორ — სამრეწველო და სასოფლო ორგანიზაციად. ამასთან თვითეულ მათგანში შეიქმნა თავისი ხელმძღვანელი ორგანო. პარტიის სასოფლო რაიკომების ნაცვლად შეიქმნა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა პარტკომები. აგრეთვე სამრეწველო-საწარმოო (ზონალური) პარტკომები. შემდეგ განხორციელდა საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ანალოგიური გარდაქმნა.

ცხოვრებამ არ დაადასტურა, რომ დროული და მიზანშეწონილი ყოფილიყო ეს რეორგანიზაცია, რომელიც განხორციელდა საკითხის მოუმზადებლად, გაუმართლებელი აჩქარების ატმოსფეროში, მისი შედეგების გაუთვალისწინებლად.

გარდაქმნის დროს შეიცვალა პარტიის ორგანიზაციული წყობის პრინციპი, რომელიც განსაზღვრულია XXII ყრილობის მიერ მიღებულ სკკპ წესდებაში. ჩვენი პარტია, როგორც აღნიშნულია მის წესდებაში, შენდება ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნით. ეს საშუალებას აძლევს პარტიულ კომიტეტს უკეთ ხედავდეს მთელი მხარის, ოლქის, რაიონის განვითარების პერსპექტივებს, უფრო რაციონალურად ანაწილებდეს და იყენებდეს კადრებს. მხარე, ოლქი — ეს ერთიანი, ცოცხალი ორგანიზმია, სადაც მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და მათი მომსახურე სფეროები მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. მათი გათიშვა, დანაწევრება საზიანოა.

ორ წელიწადს მუშაობდნენ პარტიული ორგანიზაციები გარდაქმნის შემდეგ. რას მოწმობს მათი გამოცდილება? სამრეწველო და სასოფლო პარტიული კომიტეტების წევრები, პარტიული კომიტეტების აპარატის მუშაკები დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ამოცანებს, რომლებიც მათ პარტიამ დააკისრა, ბევრი იშრომეს მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ხელმძღვანელ პარტიულ კადრებს შორის გაჩნდა მეტი სპეციალისტი.

მაგრამ ამავე დროს პარტიული ორგანიზაციების გაყოფამ სამრეწველო და სასოფლო პარტორგანიზაციებად ბევრი სიძნელე და სირთულე გამოიწვია. გარდაქმნა წარიმართა ცხოვრების წინააღმდეგ. ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გავიჯნოთ სამრეწველო და სასოფლო პარტორგანიზაციების საქმიანობის სფეროები.

პარტიული ორგანიზაციების პარტიულ-საწარმოო აპეების პრინციპის ეგრეთწოდებული საწარმოო პრინციპით შეცვლა ობიექტურად იწვევდა პარტიული. საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ფუნქციათა, უფლებათა და მოვალეობათა აღრევას, იწვევდა იმას, რომ პარტიული კომიტეტები სამეურნეო ორგანოების მაგიერობას ეწეოდნენ. რეორგანიზაციის შედეგად რაიონი, როგორც ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეული, პარტიული და სახელმწიფო თვალსაზრისით ნაწილებად გაწყვეტილი აღმოჩნდა.

მართვის აპარატის გამარტივებისა და გაიაფების ნაცვლად ორი ბოლო წლის მანძილზე საოლქო და სამხარეო ორგანოების აპარატი მნიშვნელოვნად გადიდდა, ხოლო რაიონული რგოლი სერიოზულად შესუსტებული აღმოჩნდა. გართულდა კადრებთან მუშაობის პირობები. შემცირდა სამრეწველო ცენტრების მხრივ სოფლისათვის დახმარების გაწევის შესაძლებლობა. ბოლოს, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების სამრეწველო და სასოფლო ორგანოებად გაყოფით გამოწვეულმა სიძნელეებმა და ნაკლოვანებებმა სერიოზული გავლენა მოახდინა მოსახლეობის მომსახურებაზე. ბევრი უხერხულება შეიქმნა მას.

ამრიგად, საოლქო და სამხარეო ორგანიზაციების გაყოფამ, პარტიის რაიკომების შეცვლამ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა პარტკომებით, სამრეწველო-საწარმოო პარტკომების შექმნამ სასურველი შედეგები ვერ მოგვცა. უფრო მეტიც, გარდაქმნამ სამეურნეო მშენებლობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს უბნებზე შეასუსტა პარტიული ორგანოების გავლენა საწარმოო საქმიანობაზე.

აი ამიტომ ცენტრალურმა კომიტეტმა გულდასმით აწონ-დაწონა შექმნილი მდგომარეობა, გაითვალისწინა ადგილობრივი მუშაკების, კომუნისტების, ყველა მშრომელის აზრი და დაასკვნა, რომ საჭიროა დავუბრუნდეთ პარტიული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნით აგების პრინციპს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ შემუშავებული წინადადებანი სამხარეო, საოლქო სამრეწველო და სასოფლო პარტიული ორგანიზაციების გაერთიანების წესის შესახებ. ამა წლის დეკემბერში ყველა მხარესა და ოლქში, სადაც აღდგენილ იქნება პარტიის ერთიანი სამხარეო და საოლქო კომიტეტები, მოეწყობა პარტიული კონფერენციები. ამ კონფერენციებზე ერთიანი პარტიული ორგანოების არჩევამდე ამჟამად არსებული სამრეწველო და სასოფლო საოლქო კომიტეტები და სამხარეო კომიტეტები განაგრძობენ თავიანთ საქმიანობას და მთლიანად პასუხისმგებელი არიან საქმის ვითარებისათვის პარტიულ ორგანიზაციებში. ანალოგიური ღონისძიებანი განხორციელდება აგრეთვე ერთიანი საბჭოთა ორგანოების აღდგენისათვის.

აღდგენს რა სკკპ წესდებით გათვალისწინებულ პარტიული ორგანიზაციების აგების პრინციპს, პარტია ღრმად არის დარწმუნებული, რომ მისგან გამომდინარე ორგანიზაციული ფორმები არ ამოწურულა და ხვნებით შეიცხადმიმეა თანამედროვე პირობებსა და ამოცანებს. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ალარ სრულყოფილდეთ ამ ფორმებს საღ, პრაქტიკით შემოწმებულ საფუძველზე. პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის სრულყოფისათვის და აკეთონ ეს წინდახედულად, უფუსფუსოდ და აუჩქარებლად.

ჩვენი დიადი საქმის ინტერესები მოითხოვს მკაცრად დავიცვათ პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმები, ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპი, ყოველმხრივ სრულყოთ მუშაობის სტილი და მეთოდები, ამ საფუძველზე შემდგომ განვავითაროთ კომუნისტების. ყველა მშრომელის შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა. საჭიროა პარტიული ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელი ორგანოები შეუვაიარაღოთ მთელი იმ ძვირფასი გამოცდილებით, რაც პარტიულმა ორგანიზაციებმა და მათმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა შეიძინეს როგორც წინათ, ისე ბოლო ორი წლის მანძილზე.

პარტია კვლავაც იბრძოლებს იმისათვის, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია უფრო ღრმად სწავლობდეს წარმოების საქმეს. სწავლობდეს ეკონომიკას, ტექნიკას, მოწინავე გამოცდილებას, საქმის ცოდნით წყვეტდეს პრაქტიკულ ამოცანებს. უზრუნველყოფდეს შინაგრეზერვების გონივრულ გამოყენებას, ზრდიდეს პროდუქციის ხარისხს, აუმჯობესებდეს მის ხარისხსა და ამცირებდეს თვითღირებულებას.

საჭიროა გადაჭრით აღმოვფხვრათ პარტიული ხელმძღვანელობის პრაქტიკაში პარადული ხმაური და ტრაბახი, ქაღალდების თხზვა და სასხდომო ფუსფუსი. სამეურნეო ორგანოებისადმი ზვრილმანი მეურვეობა და არაკომპეტენტური ჩარევა მათს საქმიანობაში. ადმინისტრირება და მბრძანებლობა. პირველ პლანზე უნდა იყოს კადრებთან მუშაობა, მათი შერჩევა და იდეური ზრთობა, შესრულების ქმედითი შემოწმება. ცოცხალი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი საქმიანობა მახვიბში.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი მოწმობენ ჩვენი პარტიის ძალას, მის ლენინურ მიდგომას ცხოვრების ანალიზისადმი, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის დარგში პრაქტიკული მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეებისადმი. ორგანიზაციის ფორმებს, მუშაობის სტილსა და მეთოდებს რომ სრულყოფს. ფხიზლად უგდებს ყურს მასების ხმას. დროზე და სწორად წყვეტს მომწიფებულ საკითხებს. პარტია ამით კიდევ უფრო აამაღლებს თავის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. უზრუნველყოფს კომუნისტური მშენებლობის დიდი და რთული ამოცანების წარმატებით შესრულებას.

ბრძანება სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1964 წლის 19 ნოემბერი № 261 ქ. მოსკოვი.

ამხანაგო მერაკეტეებო და არტილერისტებო, სარაკეტო და საარტილერიო მრეწველობის მუშაკებო!

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

ტრადიციული დღესასწაული — რაკეტული ჯარებისა და არტილერიის დღე აღინიშნება საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ვითარებაში ლენინური გეგმიანური ხაზის განსორციელებისათვის, რომელიც შეიმუშავა სკკპ XX, XXI და XXII ყრილობებმა. მშობიერი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანები წარმატებით ასრულებენ შვიდწლედის მეექვსე წლის გეგმას და ახალ მიჯნებს აღწევენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე. თვალსაჩინო წარმატებანია მოპოვებული მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, რასაც მოწმობს თანამეგზავრი ხომალდის „აისის“ ამასწინანდელი გაფრენა.

ჩვენი ხალხი სასიცოცხლოდ დაინტერესებულია მშვიდობის შენარჩუნებითა და განმტკიცებით. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ახორციელებენ ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. ამასთან პარტია გვასწავლის, რომ სანამ არიან იმპერიალისტური აგრესიული ძალები, საჭიროა ფხიზლად ვიყოთ, განვამტკიცოთ სოციალისტური სამეკრეფოს თავდაცვითი ძლიერება, შევინარჩუნოთ მაღალი სიფხიზლე.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები, რომლებიც თავისი ხალხის უსაზღვრო ერთგული არიან, ფხიზლად დგანან საბჭოთა სამშობლოსა და სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე.

მოგესალმებით და გილოცავთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — რაკეტული ჯარებისა და არტილერიის დღეს. სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის პირად შეიადგენლობას ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მოამზადებაში, რთული საბრძოლო ტექნიკის დაუფლებაში, სამხედრო დისციპლინის განმტკიცებაში, შეგარეობისა და ნაწილებში სიფხიზლისა და საბრძოლო მზადყოფნის აამაღლებაში.

სარაკეტო და საარტილერიო მრეწველობის ყველა მუშაკს ვუსურვებ ახალ შემოქმედებითს წარმატებებს სარაკეტო და საარტილერიო ტექნიკის განვითარებასა და სრულყოფაში.

დღესასწაულის — რაკეტული ჯარებისა და არტილერიის დღის აღსანიშნავად

ბრძანებ:

დღეს, 1964 წლის 19 ნოემბერს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, აგრეთვე გმირ ქალაქებში მიცემულ იქნეს სალუტი 20 საარტილერიო ზალვით.

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ გმირ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ძლევამოსილ შეიარაღებულ ძალებსა და მათ სახელოვან რაკეტულ ჯარებსა და არტილერიას!

გაუმარჯოს ლენინის მიერ შექმნილ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი

რ. მალინოვსკი.

მეგობროგის ვიზიტი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების შეხვედრები კუბის რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან

11 და 17 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს შეხვედრები კუბის რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან. შეხვედრებში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის მხრივ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ი. მიკოიანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

კუბის რესპუბლიკის მხრივ შეხვედრებში მონაწილეობდნენ: დელეგაციის ხელმძღვანელი, კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის სამდივნოს წევრი, მრეწველობის მინისტრი მაიორი ერნესტო გევარა, კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი, კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილე მაიორი სერხიო დელ ვალე ხიმენესი, კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი მაიორი გილეგრმო გარსია ფრიასი.

შეხვედრები მიმდინარეობდა მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში. განხილულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ურთიერთობის შემდგომი განვითარების, საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობის საკითხები, აგრეთვე ზოგიერთი სხვა საკითხი, რომლებიც საინტერესოა ორივე მხარისათვის.

ა. ი. მიკოიანი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების წარმომადგენლებს

ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების წარმომადგენელთა ჯგუფი, რომელიც მოსკოვში იმყოფება, 18 ნოემბერს შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიკოიანს.

შეხვედრის დროს, რომელიც უშუალობის ვითარებაში მიმდინარეობდა, ა. ი. მიკოიანი მიესალმა ამერიკელ ბიზნესმენებს, აგრეთვე უპასუხა შეკითხვებს.

შეხვედრას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკის გამგეობის თავმჯდომარე მ. ნ. სვეშნიკოვი და სხვები. (საკვლევი).

გულითადი მილოცვა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულითადად მიულოცეს ყაზახეთის სსრ ყარაღანდის მეტალურგიული ქარხნის მარტენის ღუმელის მშენებლობის მონაწილეებს.

მშენებელთა, მემონტაჟეთა და მეტალურგთა თავდადებული შრომის მეოხებით, აღნიშნულია მისალმებაში, ბუნების რიულ პირობებში აგებულია ფოლადის მარტენული წარმოების კომპლექსი ორი დიდი ღუმელით. ახლა ამ ქარხნის მეტალურგები სამშობლოს მისცემენ არა მარტო თუჯსა და კოქსქიმიის პროდუქტებს, არამედ აგრეთვე ფოლადს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს რწმენა, რომ მშენებელთა, მემონტაჟეთა და მეტალურგთა კოლექტივები კიდევ უფრო მეტი ენერგიით იმრომეებენ, რათა რაც შეიძლება მალე დაამთავრონ ყარაღანდის ქარხნის სრული მეტალურგიული ციკლის მშენებლობა და უმოკლეს ვადაში აითვისონ ამშვავებული საწარმოო სიმძლავრენი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მხურვალედ მიულოცეს დონეცკის ოლქის „ოქტიაბრსკაიას“ შახტ № 3 უბნის მაღაროელებს თვალსაჩინო საწარმოო გამარჯვება. 31 სამუშაო დღეში სადღეღამისო კომპლექსურმა ბრიგადამ ნ. ი. გრინდის ხელმძღვანელობით ვიწროწვდომის კომბაინის დახმარებით ერთი ლავიდან აძოიღო 122 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი. ეს მსოფლიოში ქვანახშირის კომბაინების მწარმოებლობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ რწმენა გამოთქვეს, რომ ქვანახშირის მრეწველობის ყველა მეშახტე, გამოიყენებს რა მოწინავე უბნებისა და შახტების კოლექტივების გამოცდილებას, მიაღწევს საშო ტექნიკის გამოყენების შემდგომ გაუმჯობესებასა და მისცემს ჩვენს ქვეყანას კიდევ უფრო მეტ მაღალხარისხოვან საობობს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი წერილში „ოქტიაბრსკაიას“ შახტის № 3 უბნის მაღაროელებმა მოახსენეს, რომ 31 სამუშაო დღეში ერთი 1½-5ᲐᲒ კომბაინით მათ 122340 ტონა ქვანახშირი ამოიღეს. ცალკეულ დღეებში ლავიდან იღებდნენ 4800-მდე ტონა ქვანახშირს. თითოეულ ლავაში მუშის შრომის ნაყოფიერება 458,18 ტონას აღწევდა თვეში. მაღაროელებმა პირობა მისცეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, რომ ისინი კვლავაც გააუმჯობესებენ თავიანთ ოსტატობას, მიაღწევენ საბჭოთა ტექნიკის მწარმოებლობის შემდგომ ამაღლებას.

(საკვლევი).

თბილისის „დინამო“ — ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ფეხბურთში



ტაშკენტი. (18 ნოემბერი. ტელეფონით. ჩვენი სპეც. კორ.). ტაშკენტის „პახტაკორის“ სტადიონის ტრიბუნებს არ ახსოვთ ამდენი გულშემატკივარი. მის ფეხბურთის მოედანზეც არასოდეს არ ყოფილა ასეთი დიდი მაჩარი, როგორც მა' უწოდეს, „ოქროს მატჩი“.

საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში პირველად სსრ კავშირის ჩემპიონობა უნდა გადაეწყვიტა ჩემპიონატის ფინიშზე ერთნაირი მაჩვენებლებით მისული ორი გუნდის მატჩს, რომელსაც მღელვარებით მოელოდნენ ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში.

18 ნოემბერს სტადიონის ტრიბუნები ფეხბურთის 70 ათასამდე მოყვარულით ავსებო. ხანგრძლივი მოლოდინის უკანასკნელი წუთიც ამოიწურა.

„პახტაკორის“ სტადიონის მოედანზე „ოქროს მატჩის“ რიგელი არბიტრი მ. რუბენისი საპატიოდ იწვევს ოქროს მედლების ორ ღირსეულ პრეტენდენტს — თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“.

გუნდები მოედანზე გამოდიან ასეთი შემადგენლობით: „დინამო“ — კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, რეხვიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, მეტრეველი, მესხი; „ტორპედო“ — შაპოვალენკო, ანდრეიუკი, შუსტიკოვი, მეშჩერიაკოვი, სარაევი, ვორონინი, მარუშკო, სოლოვიოვი, ივანოვი, შჩერბაკოვი, სერგეევი.

თამაში ორმხრივი იერიშებით დაიწყო, რაც მოწინააღმდეგეთა უდავო სარძოლო განწყობილებასა და შემართებას მოწმობდა. პირველ წუთებში ოდნავ შესამჩნევი გახდა ტორპედოელთა უპირატესობა და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შეიქმნა დინამოელთა კართან. მაგრამ უშედეგოდ. მოედანზე წონასწორობა თანდათან აღდგა. დინამოელთა თავდასხმა გააქტიურდა და მოსკოველთ მეკარეს შაპოვალენკოს რამდენჯერმე მოუხდა სახიფათო ბურთის მოგერიება. არც დინამოელთა მეკარე ს. კოტრიკაძე იყო უზრუნველად — მისმა შესანიშნავმა ოსტატობამ იხსნა კარი „გოლისაგან, როცა საჯარიმო მოედნის ხაზიდან 4-5 მეტრ მანძილზე გ. სიჭინავა დაჯარიმდა და შერბაკოვმა უძლიერესი დარტყმით ბურთი კარისაკენ გაგზავნა.

პირველი ტაიმის ბოლო წუთებში მეტოქეთა კართან შეიქმნა საგოლო მომენტები, თუმცა არც ერთ მათგანს შედეგი არ მოჰყოლია.

მეორე ტაიმი

პარტიული ცხოვრება

მთავარი საფრთხე

ეს ავგისტოში მოხდა. ახალი ითხვრისის მაღაროს ზოგმა საწარმო უბანმა მარგანეცის გამოღება შეამცირა. შესუსტდა ყურადღება მადნის პირველადი გამდიდრებისადმი. ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკას ფუფქანთან ლოდების აწოდებდნენ. ფაბრიკაშიც ზუსტად ვერ გიცავდით ტექნოლოგიურ პროცესებს. ამან მარგანეცის ხარისხის დაცემა გამოიწვია.

ამ მდგომარეობას ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია, სამეურნეო მუშაკები, კომუნისტები ვერ შეურიგდებოდნენ. გადავწყვიტეთ პროდუქციის ხარისხის ამაღლების საკითხის შესახებ ღია პარტიულ კრებაზე გვემსჯელა. კრების მომზადებაში რავაბით გამოცდილი ინჟინრები, კომუნისტი მექანიზატორები, უპარტიო აქტივი. საფუძვლიანად შევისწავლეთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების რეზერვები და წყაროები.

პარტიულ კრებაზე კონკრეტული და დასაბუთებული მოხსენებით გამოვიდა ფაბრიკის გამგე, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, კომუნისტი ირ. კაკაბაძე. მის სიტყვაში პირუთვნელი კრიტიკაც იყო და თვითკრიტიკაც. მან მოურიდებლად ამხილა მადნის ხარისხის გაუარესების მიზეზები და წამოაყენა თავისი მოსაზრებანი. კრებაზე გულახდილი და პირდაპირი სჯა-ბაასი გაიმართა. თავიანთ გამოსვლებში საქმიანი წინადადებები წამოაყენეს კომუნისტებმა — ცვლის უფროსებმა გ. გაბრიჭიძემ და უ. მოდებაძემ, მადნის ხარეცხი დაზგის მუშამ გ. კაკაბაძემ, უბნის მექანიკოსმა გ. ბანკვეტაძემ, მთავარი მექანიკოსის მოადგილემ მ. გამყრელიძემ და სხვებმა.

პარტიულმა კრებამ მარგანეცის გამდიდრების ტექნოლოგიური პროცესების გასაუმჯობესებლად და პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად კონკრეტული ღონისძიებანი დასახა.

ჩვენ გვესმის, რომ ძალიან კარგი დადგენილებაც, თუ იგი საქმით არ იქნება განმტკიცებული, ფარატინა ქაღალდად დარჩება. ამიტომ იყო, რომ ღონისძიებათა განხორციელებას მეორე დღიდანვე მოგკიდეთ ხელი. ინჟინერ-რაციონალიზატორ ი. კაკაბაძის წინადადებით შეიცვალა ხალქი მანქანების პარამეტრები, მაღალი სიხშირის დანადგარების პერიოდული განტვირთვა მუდმივი განტვირთვით შეიცვალეთ. მარტო ამ ღონისძიებებით მაღალი ხარისხის მადნის გამოსავალი ორი პროცენტით გადიდდა, ხოლო ეს მარგანეცის გამდიდრების ტექნოლოგიაში კარგი მიღწევაა, სამშობლოს დიდ დანაზოგს აძლევს.

ადრე თვითნებურად აჩერებდნენ მადნის მესაზიდე დამსხვრევის საამქროს. ამით მარგანეცის ხარისხი ეცემოდა. სამტვრეველას წესიერ მუშაობაზე მეთვალყურეობა კომუნისტმა ზინეკალმა გ. ბარათაშვილმა ითავა. იგი საამეცოდ და საგულდაგულოდ არემონტებს სამტვრეველას, მადნის გამამდიდრებელ დაზგადანადგარებს. ახლა ისინი შეუფერხებლად მუშაობენ და ეს კეთილსასურველად მოქმედებს მარგანეცის ხარისხზე.

პარტიული კრების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მაღაროს სანგრევებსა და ლავებში მადნის გაწმენდას ფუჭი ქანებისაგან. საგრძნობლად ამაღლდა მაღაროელთა და გამამდიდრებელთა მასსუხისმგებლობა საფაბრიკო მარკის ღირსებისათვის ბრძოლაში, განმტკიცდა ტექნოლოგიური და საწარმოო დისციპლინა, რამაც ხელი შეუწყო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და მისი თვითღირებულების შემცირებას.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა წარმოების სანიმუშო კულტურა. ფაბრიკის კომუნისტები წარმოების ამ მნიშვნელოვან უბანსაც არ იგიწყებენ. ისინი არა მარტო თვითონ შრომობენ თავდადებულად, არა მარტო თვითონ ეპყრობიან ფაქიზად მანქანა-დანადგარებს, არამედ ამ კეთილშობილურ ჩვეულებს უპარტიო ამხანაგებსაც უნერგავენ.

ზეინკალი კომუნისტი შ. ცუცქირიძე მუდამ თავს დასტრიალებს დაზგა-დანადგარებს, თავის დროზე და ბეჯითად არემონტებს მათ, უცვლის ნაწილებს, ასუფთავებს მექანიზმებს. კარგად გამართული და სუფთა მექანიზმის მართვა ჯანსაღად განაწყობს ადამიანს, რაც განაპირობებს შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

ახალგაზრდა კომუნისტი გ. დეკანოიძე პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტია. იგი მადნის გამდიდრების ფაკულტეტზე სწავლობს. გიორგი ოთხ დანადგარს ემართავს. მუდამ წესრიგში და სუფთად აქვს რთული დანადგარები. იგი მაღალხარისხოვანი პროდუქციის ნამდვილი ოსტატია. ასევე ითქმის კომუნისტ გ. კაკაბაძისა და კომკავშირის კომიტეტის მდივან ნ. ყანჩაველზე, რომლებიც ორ-ორ დაზგაზე მუშაობენ და მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია მუდამ უწუნოა. დახელოვნებული გამამდიდრებლები თავიანთ საწარმოო გამოცდილებას ხალისით უზიარებენ ამხანაგებს, ახალგაზრდა მუშებს.

პროდუქციის ხარისხის ამაღლებასა და მომკრეფელობაში თავიანთი წვლილი შეაქვთ ფაბრიკის აგიტატორებს. ინჟინერ შ. გრიგალაშვილის ცვლაში ამას წინათ უეცრად დაეცა მადნის ხარისხი. ამის მიზეზი დაწვრილებით შეისწავლა ხალქ დაზგაზე მომუშავე კომუნისტმა აგიტატორმა გ. აბრამიშვილმა, რომელმაც ძირიგი საუბარი სწორედ პროდუქციის ხარისხს, მის მნიშვნელობასა და შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების გზებს მოუძღვნა. აგიტატორმა მთელი ცვლის კოლექტივის წინაშე აუკარად დაგმო და გაკიცხა წუნისმკეთებლები, საკარრად შეარცხვინა ისინი. ასევე იქცევიან აგიტატორები გ. გაბრიჭიძე, დ. მუმლაძე, გ. ბარათაშვილი. პროდუქციის ხარისხსა და მომკრეფობის საკითხებზე დამაჯერებლად ესაუბრებიან მუშებს ინჟინრები ი. კაკაბაძე, ბ. საყვარელიძე. ისინი ფაბრიკის კოლექტივს რაზმაეფენ მაღალხარისხოვანი პროდუქციისათვის ხაბრძოლველად. ამას ადგებითი შედეგები მოსდევს.

ფაბრიკის კედლის გაზეთი „გამამდიდრებელი“ (რედაქტორი გ. აბრამიშვილი) ნომრიდან ნომერში აშუქებს ტექნოლოგიური პროცესების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მომკრეფობის საყურადღებო საკითხებს, განაზოგადებს დადებითს გამოცდილებას, აჩვენებს და გმობს წუნისმკეთებლებს.

აღნიშნულ ღონისძიებებს ამაოდ არ ჩაუვლია. ფაბრიკის კოლექტივმა ათი თვის დავალება ყველა მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულა. რაც მთავარია, მეტალურგიულ ქარხნებს ვაწვდით მაღალხარისხოვან მარგანეცს, რითაც ათ თვეში 165.800 მანეთი დავზოგეთ. ჩვენი ფაბრიკის კოლექტივის პროდუქცია უკვე ყველგან მოწონებით სარგებლობს.

მაგრამ მიღწეული არ გვამედიდურებს, თვითკმაყოფილებას არ ვეძლევით, რადგან ვიცით, რომ ყურადღების ოდნავ მოდუნებას არასასიამოვნო შედეგი მოჰყვება.

თუმცა მესამე კვარტალის მაჩვენებლებით რესპუბლიკაში მესამე ადგილზე გამოვედით, ეს მაინც ჩვენთვის ცოტაა. ფაბრიკის კოლექტივი, მისი პარტიული ორგანიზაცია ახალი „ზღუდეების ასაღებად იბრძვის.

მ. გულიაშვილი.

ჭიათურის ახალი ითხვრისის მაღაროს მადნის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის პარტიბიუროს მდივანი.

19 ნოემბერი რაკეტული ჯარებისა და არტილერიის დღეა

მუშიდროგის ფარი

1942 წლის 19 ნოემბერს მძლავრმა საარტილერიო ზალვებმა მთელ მსოფლიოს ამცნეს, რომ ვოლგოგრადთან დაიწყო საბჭოთა ჯარების კონტრშეტევა, რომელიც დამთავრდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მმშ-ათასიანი არმიის გარშემორტყმითა და განადგურებით, რაც უმაგალითო იყო ისტორიაში. დიდი სამამულო ომის ამ სახელოვან თარიღს შეეფარდა არტილერიის დღის ყოველწლიური დღესასწაული იმ თვალსაჩინო როლის აღსანიშნავად, რაც არტილერიამ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დაცვაში შეასრულა.

ნოემბრის ამ დღეს ხალხი პატივს სცემს საბჭოთა არტილერისტებსა და საარტილერიო მრეწველობის მუშაკებს საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მათი დიდი დამსახურებისათვის.

ჩვენ გვსოგორობთ შესანიშნავ დროს, როცა ხარკს ისახამს ყველაზე გაბედული ოცნებები. მრავალდგილიან საბჭოთა ხომალდ „აისის“ გაფრენი ი ახალი ფეტრული გადაბმა-ლა კოსმოსის კედლეზეში. უზარმაზარი მატარებელი რაკეტით გაშვებულმა, მან თვალსაჩინოდ შემოუარა გარს პლანეტას და ზუსტად დანიშნულ რაიონში დაეშვა. ამ ფრენამ კვლავ ცხადყო საბჭოთა ტექნიკის — მძლავრი რაკეტების, ორთული თანამგზავრი ხომალდების და კოსმოსში ადამიანის გაფრენისათვის საჭირო მთელი მოწყობილობის მაღალი თვისებები და სრულყოფილება. ერთხელ კიდევ საქმით დამტკიცდა, რომ საბჭოთა მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, სახელოვან მუშათა კლასს ძალუძთ გადაჭრან კოსმოსის სიღრმლოებათა დაუფლების ყველაზე ძნელი ამოცანები.

კომუნიზმის მშენებელი ჩვენი სამშობლო სისხლხორცულად დაინტერესებულია ყველა მეცნიერ ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობით. გამოხატავენ რა საბჭოთა ადამიანების ნება, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა შეუპოვრად იბრძვიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მკაცრი საერთაშორისო კონტროლით საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის.

მაგრამ სანამ იმპერიალიზმი რჩება, რჩება აგრესიული ომებს სატრიბეც. ეს გვაიძულებს ვიყოთ ფიზიზელნი, ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, სრულყოფდეთ ყველა გვარეობის შეიარაღებულ ძალებს, მათ შორის არტილერიასაც.

ახლა არავისთვის არ შეადგენს საიდუმლოებას, რომ საბჭოთა არმიას აქვს სამშობლოს დაცვის ყველაზე თანამედროვე საშუალებანი — ატომური და თერმობირთვული იარაღი, მოქმედების რტყმები ყველა რადიუსის რაკეტები, მუდამ ჯერ-ოვან სიმაღლეზე აქვს ყველა სახეობის საბჭოთა ტექნიკა და იარაღი.

საბჭოთა არტილერია ეთარგებოდა ტექნიკურ სიუხვეს, ავტომატიზაციას, ელექტრონულ ტექნიკას, ელექტრონულ ბალისტიკურ ტექნიკას, ავტომატურ ცეცხლსროლ იარაღებს, ავტომატურ ტანკებსა და ავტომანქანებს, ავტომატურ ბალიანებს, ავტომატურ ბორბლებს, ავტომატურ ბურჯებს, ავტომატურ ხიდებს, ავტომატურ ბორბალ-ბურჯებს, ავტომატურ ბორბალ-ხიდებს, ავტომატურ ბურჯ-ხიდებს, ავტომატურ ბორბალ-ბურჯ-ხიდებს, ავტომატურ ბორბალ-ბურჯ-ხიდ-ბორბალ-ბურჯ-ხიდ-ბორბალ-ბურჯ-ხიდ-

ლეგენდარული ბიოგრაფიის ადამიანი

საბჭოთა კავშირის მარშალ ვ. კ. ბლიუხერის დაბადების 75 წლისთავის გამო

ვასილ კონსტანტინეს-ძე ბლიუხერი ლეგენდარული ბიოგრაფიის ადამიანია. იგი საბჭოთა კავშირში პირველი იქნა დაჯილდოებული წითელი დროშის ორდენით. მას პირველთა შორის მიეკუთვნა საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება.

თუმცა იმ დროს, რომლიდანაც ეს ამბავი იწყება, ბლიუხერი — რეგალიების უბრალო, თავმდაბალი ჯარისკაცი, არც ფიქრობდა მარშლის კეკრთხზე.

სამხრეთ ურალის ქალაქებსა და დაბებს, სადაც მხოლოდ ცოტა ხნის წინათ მივიდა საბჭოთა ხელისუფლება, 1918 წელს საფრთხე დაემუქრა: ატამანმა დუტოვმა განიზრახა რუსეთისათვის მეფე დაებრუნებინა. მისი წინამძღოლობით მოქმედა კაზაკებმა, ოფიცრებმა, იუნკერებმა დაიკავეს ორენბურგი, ტროიცკი, ვერხნე-ურალსკი, გარსშეთერტყნენ ჩელიაბინსკს. მაგრამ აქ დუტოვმა წაიბორძიკა. გამანადგურებელი ცეცხლით შეხვდა თვითგვარდიელებს სამარიდან ჩამოსული მუშათა და ჯარისკაცთა რაზმი. იგი მიიყვანა წითელი გვარდიის შტაბის უფროსმა ბლიუხერმა.

ნახევარ წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა გაადფრეტელი ბრძოლა დუტოვთან. სამხრეთ ურალის ქალაქები ხელიდან ხელში გადადიოდა.

დღისით და ღამით რაზმი აკავებდა მტრის ჭარბი ძალების შეტევას, რომელსაც უნდოდა ორენბურგისაკენ გაგზრილიყო. ბოლოს, რაზმი იძულებული გახდა დაეტოვებინა ქალაქი. მაგრამ შემდეგ რა უნდა მოეხერხებინა? ხანმოკლე თათბირზე ბლიუხერმა უარყო წინადადება წასულიყვნენ ორენბურგის ტრამალებში.

— იქ ნახევარ რაზმს დაგაკარგავთ, — თქვა მან და დასახა ძნელი, საშიში, მაგრამ სწორი გზა: ეგლოთ თეთრების ზურგში და გასულიყვნენ ჩრდილოეთის მუშურ რაიონებში წითელ არმიის ძირითად ძალებთან შესაერთებლად. გეგმა მიღებულ იქნა. ბლიუხერი ერთსულოვნად აღიარეს პარტიზანთა მთავარსარდლად.

პარტიზანები შეუერთდნენ წითელი არმიის ნაწილებს, შევიდნენ ურალის მე-4 დივიზიის შემადგენლობაში. ბლიუხერი ამ დივიზიის მეთაური გახდა. „ბლიუხერის ჯარები ორგანიზებულობისა და წესრიგის მაგალითია, — იუწყებოდა იმ დროს არმიის გაზეთი „ცრასნი ნაბატი“. — მიუხედავად იმისა, რომ ბევრნი მრვიდნენ ქალამნებით, განაწყმენნი, ჩამოგლეჯილ-ჩამოფლეთილნი, საქმის მდგომარეობა რომ შეიტყეს, ისინი ისწრაფვიან დაგვეხმარონ“.

მდგომარეობა კი ძნიმე იყო: კოლჩაკმა ომსკში სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა და თავისი თავი მთელი რუსეთის უმაღლეს მმართველად გამოაცხადა. წითელი არმიის ნაწილებს შორის, რომლებიც პირველნი დაიძრნენ კოლჩაკის წინააღმდეგ, ბლიუხერის მე-4 დივიზიაც იყო. შემდეგში 30-ე დივიზიად წოდებული ამ დივიზიის მეთაურობას ურალის არწივებს ეძახდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების მოსისხლე მტრებსაც კი ბლიუხერი გამორჩენილ მხედართმთავრად მიაჩნდათ, ეშინოდათ მისი. მათ გაავრცელეს ხმა, რომ ბლიუხერი თითქოს შიამომავალი იყო გერმანელი მარშლისა, რომელმაც ოდესაც სამელი გაითქვა ნაპოლეონთან ბრძოლებში. ერთხელ, თავიანთ მეთაურს, რომ ესაუბრებოდნენ, მებრძოლებმა კაითხეს, მართალია ეს თუ არაო.

— სულაც არა გარ გერმანელი, — გულკეთილი ღიმილით უპასუხა ბლიუხერმა, — უბრალო გლეხი ვარ იაროსლავლის გუბერნიის სოფელ პარშინიკიდან. მაგრამ გერმანელ მარშალთან ერთგვარი დამრკიდებულება მაქვს: პაპაჩემი, გიორგის ორი ჯვრის კავალერი, მედვედევი, ყმა იყო, და მემამულემ მას ბლიუხერი უწოდა იმ მარშლის პატივისაცემად. ასე შერჩა მას ეს შერქმეული სახელი, რომელიც შემდეგ გვარად იქცა.

...1919 წელს. ციმბირიდან თეთრებს რომ მიერეკებოდნენ, ნაწილობი ურალელი მებრძოლებისაგან შექმნეს ახალი, 51-ე დივიზია. მისი მეთაური გახდა ბლიუხერი.

შემდეგ სამოქალაქო ომის ქარცეშლილმა 51-ე დივიზია სამხრეთის ფრონტზე გადატყორცნა. მისი საბრძოლო უბანი გახდა კასოგჯა, რომელსაც იმ დროიდან ლეგენდარული სახელი შერჩა. ბლიუხერის მეომრებმა აქ შექმნეს ბაზა ვრანგელის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევისათვის. მათ ულიდესი მუშაობა გასწიეს კასოგჯის პლაცდარმის განსამტკიცებლად, შექმნეს საარტილერიო და ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვა. ეს სულ ახალი სიტყვა იყო იმდროინდელ სამხედრო ხელოვნებაში.

მტერმა აქ გამოიყენა თავისი რჩეული ნაწილები. მან გამოიყენა ძმიმე არტილერია, აკიაცია, ტანკები. ბლიუხერის მეომრებმა პირველად დაინახეს ჯავშნიანი ურჩხულები, მაგრამ არ დაბნეულან. საარტილერიო დივიზიონის მებრძოლები პირდაპირ დამიზნეზენთ ესროდნენ ტანკებს. მტერმა რვაჯერ მიიტანა გაფფთრებული იერიში 51-ე დივიზიის პოზიციებზე და ყველა ეს იერიში მოგერეკეს ულა.

ენინმა დასახა ამოცანა: ზამთრის დადგომამდე განდევნოთ ვრანგელი უკანასკნელი თავშესაფრიდან — ყირიმიდან. და აი ბლიუხერის მეომრებმა წითელი არმიის სხვა ნაწილებთან ერთად იერიში მიიტანეს მტრის სიმაგრე პერეკოპზე, რომელიც მიუვალად თვლებოდა: გრიგალისებურ ცეცხლში ისინი ხმლებით ჩეხდნენ მავთულს, აძრობდნენ მარგილებს, უკან დაიწევდნენ ხორმე მტრის ზალპებით დაზარალებულნი და კვლავ გადადიოდნენ იერიშზე. 9 ნოემბერს მესამე გადამწყვეტი იერიშის შემდეგ წითელარმიელები მიადგნენ თურქულ მიწაყრილს, ა

თბილისის „დინამო“ — ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ფეხბურთში

გ. კაჩალინი — ა. ღოლოგერიძე

ა. კოტრიკაძე — შ. იამანიძე

ს. კოტრიკაძე — გ. სიჭინავა

ლაპარაკობენ დინამოელები

ტაშკენტის „პატტაკორის“ სტადიონზე გუშინ დაიბადა ჩვენი ქვეყნის 1964 წლის ჩემპიონი — თბილისის „დინამო“. ეს საპატიო სახელი და ოქროს მედლები ჩვენს სახელოვან ფეხბურთელებს ათასობით გულშემატკივარმა მიულოცა ტრიბუნებიდან. მატჩის შემდეგ კი დაბადების დღე მიულოცეს ჩვენი გაზეთის სპეციალურმა კორესპონდენტებმა და სთხოვეს მათ რამდენიმე სიტყვა ეთქვათ „კომუნისტის“ მკითხველებისათვის.

აი რა თქვეს მათ:

◇ ◇

გ. კაჩალინი: მატჩი განსაკუთრებით ძნელი იყო, საბჭოთა კავშირის პირველობის ყველა თამაშზე უფრო ძნელი. განსაკუთრებით ძნელი აღმოჩნდა ეს მატჩი ჩვენი კოლექტივისათვის ჩემპიონის ოქროს მედლების მოპოვების გზაზე.

ჩვენ ყოველთვის ბეწვზე ვეკიდეთ. ამჯერად ბედნიერების ბეწვი მაგარი გამოდგა. ჩვენმა ბიჭებმა უჩვენეს თავიანთი ოსტატობა, გამარჯვებისადმი სწრაფვა. ტორპედოელები ღირსეული მეტოქეები იყვნენ. ცნობილია, რომ ყოველთვის ძნელია ასეთ ძლიერ, მაღალტექნიკურ და კორექტულ გუნდთან ბრძოლა.

ჩემზე კი, როგორც დინამოელთა უფროს მწვრთნელზე, შემიძლია ვთქვა, მიხარია, რომ გავამართლე კოლექტივის ნდობა.

ა. ღოლოგერიძე: ძალიან დიდ სიხარულს განვიცდი. დღეს ჩვენმა გუნდმა ღირსეულად გაიმარჯვა. თამაშის პირველი ნახევარი მოსკოველთა უპირატესობით მიდიოდა და ძალიან დაძაბული იყო. ხოლო მეორე ნახევარში და დამატებით დროში დინამოელებმა კარგი ფეხბურთი აჩვენეს და შესანიშნავი ნებისყოფა გამოიჩინეს. ვულოცავ ყველა ქართველ გულშემატკივარს მათი საყვარელი „დინამოს“ წარმატებას.

ამ გამარჯვებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის გ. კაჩალინს. მისი გულმოდგინეობა, საქმის სიყვარული გამარჯვების ერთ-ერთი საწინდარი იყო.

ა. კოტრიკაძე: დაბნეული ვარ სიხარულით, უსაზღვრო, დიდი სიხარულით. ბედნიერი ვარ.

ს. კოტრიკაძე: თამაში ნერვიული იყო, ჩვენ ყველანი კმაყოფილი და ბედნიერი ვართ.

გ. სიჭინავა: რა უნდა ვთქვა, ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს.

ვ. რეხვიაშვილი: ასეთი დიდი სიხარული არასოდეს არ განმიცდია. 18 ნოემბერი არასოდეს არ დამავიწყდება. მადლობა ჩვენი გუნდის გულშემატკივრებს!

ჯ. ზეინკლიშვილი: ვულოცავ ქართველ გულშემატკივრებს ამ დიდ გამარჯვებას. დაე ეს არ ყოფილიყოს უკანასკნელი.

გ. ცხოვრებოვი: ძნელ ორთაბრძოლაში გავიმარჯვეთ. ეს ჩვენი საერთო წარმატებაა.

გ. სიჭინავა: ამ ქვეყნად ახლა ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვარ.

შ. იამანიძე: ძნელი იყო ამ გამარჯვების მოპოვება. ჩემი მეგობრები ნამდვილი ვაჟკაცები არიან, გულშემატკივრები კი ჩვენი ყველაზე თავდადებული ქომაგები. მთელი გუნდის სახელით მინდა გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით მივულოცო ჩვენს საყვარელ ხალხს ქართული ფეხბურთის წარმატება.

ი. დათუნაშვილი: უსიტყვოდაც იცით, რასაც განვიცდი ახლა.

ვ. ბარქაია: მოვიგეთ. ახლა მეტი არაფერი არ მახსოვს.

ს. მეტრეველი: მატჩის ბედი გადაწყვიტა ჩვენმა უკეთესმა ფიზიკურმა მომზადებამ. რა გრძნობას განვიცდი ახლა? ბედნიერი ვარ, რომ გავამართლეთ ჩვენი გულშემატკივრების იმედები.

მ. მესხი: თვითეული ჩვენგანი დიდ სიხარულს განიცდის. ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთი სიხარულის შემდეგ ვერ შევხვდები თბილისელ გულშემატკივრებს. მე, მეტრეველი და გ. სიჭინავა საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად იუგოსლავიაში მივემგზავრებით.

ყოჩაღ, თბილისელებო!

მე დიდი მცოდნე არა ვარ ფეხბურთისა, მაგრამ დღეს ალბათ არც ერთ გულშემატკივარს არ ჩამოვუვარდები.

სულით და გულით ვულოცავ თბილისის დინამოელებს ოქროს მედლებს.

აკადემიკოსი **ნ. მუსხელიშვილი,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

ეს შემთხვევითი გამარჯვება არ ყოფილა. მოლოდინი ზომაზე მეტად გაგვიმართლდა.

მომილოცნია, ჩვენო მართლა ოქრო ბიჭებო, ყველას გულში გიკრავთ გახარებულ დედასავით.

თქვენი გამარჯვებისა იყოს!

ვერიკო ანჯაფარიძე,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ჩვენი ფეხბურთელების ვაჟკაცობამ ნამდვილად სიხარულით აგვავსო ყველანი. ეს შესანიშნავია, დაუვიწყარია, ყველა ჩვენგანისათვის სამაგალითო გამარჯვებაა!

უჩა ჯაფარიძე,
სსრ კავშირის სახალხო მხატვარი.

სულითა და გულით...

ქართული ფეხბურთის ისტორიაში ახალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს თბილისის დინამოელებმა. ისინი სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო ტიტულისა და ოქროს მედლების ღირსეული მფლობელნი გახდნენ. სულით და გულით ვულოცავ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს ამ შესანიშნავ გამარჯვებას. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს ამავე დროს მინდა შევახსენო, რომ არსებობს ფეხბურთში სსრ კავშირის თასიც...

ნონა გაფრინდაშვილი,
მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში.

გიორგი ლეონიძე,
საქართველოს სახალხო პოეტი.

ექსპრომტი ქართველ ფეხბურთელებს

ო, რა იყო დღეს თბილისში,
გული აღარ გექონდა ხელთა,
ქართულ ბურთის გამარჯვებით
თითქოს ძვალი გაგვიცხელდა.

გულზე ცეცხლის მოჭიდებით
და ლომდარი თქვენის ნებით,
შერკინებით ტლუ ბიჭები —
საქართველოს ფალავნები —

გვაგონებდით ლომგულ გმირებს
იერიშს რომ გადასვედით;

მათებურად დასძახოდით:
არ დავუთმოთ სხვას სახელი!

ბარაქალა! ქოჩორს კოცნა!
გამოგვასხით მხრებზე ფრთები.
ერთხელ კიდევ შეიშმუშნენ
გამარჯვებით ჩვენი მთები.

და თბილისმაც შეიფერა,
რომ ვეფხვების არის ბუდე;
შვილებს გზავნის გარეთ მისთვის,
რომ სახელით დაუბრუნდნენ!

18 ნოემბერი, 1964 წ.

ვ. რეხვიაშვილი — ჯ. ზეინკლიშვილი — გ. ცხოვრებოვი — გ. სიჭინავა — ი. დათუნაშვილი — ვ. ბარქაია — ს. მეტრეველი — მ. მესხი — ა. აფშევი — გ. კეტრიაშვილი — მ. ხურცილავა — ნ. ლეჟავა

დამსახურებული გამარჯვება

თბილისელი დინამოელები ყოველთვის ღირსეული მოწინააღმდეგენი იყვნენ ჩვენთვის. ისევ დამრჩენია, მივულოცო „დინამოელებს პირველი ოქროს მედლები. ეს მედლები მათ დამსახურებულად მოიპოვეს.

იური ზოლოტოვი,
„ტორპედოს“ მწვრთნელი.

ჩვენმა მეგობრებმა, თბილისის დინამოელებმა ღირსეულად მოიპოვეს ჩემპიონობა. რას ვიტყვი თამაშზე? იგი კარგა ხანს თანაბარი იყო. ანგარიშის გახსნის შემდეგ ჩვენმა მეკარემ და მცველებმა ორი შეცდომა დაუშვეს და ეს მარტო ორი ქულის ფასად როდი დაგვიჯდა. ყველაზე მეტი უსიამოვნება მეტრეველმა, გ. სიჭინავამ და დათუნაშვილმა მოგვაყენეს.

ვ. ვორონინი,
„ტორპედოს“ კაპიტანი.

ანგარიში დიდი იყო, თბილისის „დინამომ“ დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონობა. ამასთან ერთად არ შემიძლია არ აღვნიშნო: ტაშკენტში ოქროს მედლების ორი კომპლექტი რომ ჩამოეტანათ, ორივე გუნდს უყოყმანოდ გადავცემდი. მეტოქეებმა მატჩი კორექტულად ჩაატარეს და ამით გავიადვილეს მსჯობა. თუმცა ისინი ბევრს ნერვიულობდნენ.

ვულოცავ „დინამოელებს“ გამარჯვებას.

მ. რუბენისი,
მატჩის არბიტრი.

გულითადი მილოცვები

თბილისის „დინამოსთან“ ძველი მეგობრობა მაკავშირებს. ამ წუთს, როცა გუგუნებენ „ტაშკენტის“ ტრიბუნები და სპორტული ზეიმი ედება საქართველოს დედაქალაქს — თბილისს, მე მახსენდება კიევისა და ბაკოს კუნძულზე საბჭოთა მოჭადრაკეებისა და საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის წევრთა შეხვედრა.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ბაუბრები ტყავის ბურთის დიდოსტატებთან მ. მესხთან, ს. მეტრეველთან, ვ. ვორონინთან... დღეს მათს სპორტულ პაექრობას თვალყურს ვადევნებდი თბილისიდან, ქალთა მომავალი საჭადრაკო ბატალიების წინ... როგორც იცით, თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ ამ გადამწყვეტ ორთაბრძოლას არბიტრობდა ნეიტრალური მსაჯი, ჩემი თანამემამულე მ. რუბენისი. მეც, როგორც რიგელს, თითქოს ნეიტრალიტეტის დაცვა მომეთხოვება, მაგრამ ვარლვეე ამ „ნეიტრალიტეტს“ — მიგულეთ თბილისის „დინამოს“ გულშემატკივართა შორის. მრავალ ახალ გამარჯვებას ვუსურვებ ტყავის ბურთის ქართველ დიდოსტატებს.

მ. ტალი,
მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჭადრაკში.

რა ვთქვა, არ ვიცი, ბოლოს და ბოლოს მოხდა ის, რომელსაც 25 წელია ველოდით. რაც ვერ შევძელით ჩვენ, ქართული ფეხბურთის პირველმა და მეორე თაობებმა, გააკეთეს აი ამ ბიჭებმა, ოქროს ბიჭებმა.

მე მათ სულითა და გულით ვულოცავ და ყველას ვეხვევი.

ბ. პაიჭაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

გვინდა გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით მივულოცოთ თბილისის „დინამოს“ დიდი გამარჯვება — სსრ კავშირის ჩემპიონის სამპატიო წოდება. კვლავაც გესახელებინოთ საბჭოთა ფეხბურთი, ძვირფასო ქართველო მეგობრებო!

ა. მამედოვი,
„ნეფტიანიკის“ უფროსი მწვრთნელი.

თბილისის „დინამოს“ წარმატება კანონზომიერია. სულითა და გულით ვულოცავთ ქართველ ფეხბურთელებს.

მ. ამბარცუმიანი,
„არარატის“ უფროსი მწვრთნელი.

მეგობართა აღფაცება

ნიკოლოზ მოროზოვი.
სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი.

შემიძლია ითქვას, რომ თამაში თანაბარი იყო. თბილისელები ფიზიკურად უკეთ იყვნენ მომზადებულნი. „ტორპედოს“ დამცველთა ორმა უხეშმა შეცდომამ მატჩის ბედი თბილისელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. ვულოცავ ქართველ ფეხბურთელებს დიდ წარმატებას.

ანდრია სტაროსტინი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც ფიზიკურად, ისე ტექნიკურად განსაკუთრებით მძაფრმა და თანაბარმა თამაშმა. დინამოელები თამაშობდნენ დიდოსტატური სტილით. გამოვყოფ დათუნაშვილს, იმიტომ კი არა, რომ ორი ბურთი გაიტანა, არამედ იმიტომ, რომ ყველაზე აქტიური მოთამაშე იყო და ითამაშა თავისი საუკეთესო მატჩი, როგორიც კი მინახავს მისი მონაწილეობით. როგორც ყოველთვის, კმაყოფილი ვარ ვორონინის მაღალტექნიკური თამაშით. მთლიანად მეტოქეებს სუსტი ადგილები არ ჰქონიათ.

ნიკოლოზ ოზეროვი.
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ამ უაღრესად საინტერესო თამაშის გადაცემა. გულახდილად უნდა ვთქვა, შევნატრი ჩემს ქართველ კოლეგებს, რომ საქართველო მათ უსმენდა და არა სინიავსკისა და მე.

თბილისელებმა მთელი სიძლიერით დაიწყეს თამაში დამატებითს დროში. ისინი უფრო შეუპოვარნი, ტექნიკურნი და სპორტულად გაკაჟებულნი იყვნენ. ძალიან მომეწონა დათუნაშვილი და მეტრეველი.

სულითა და გულით ვულოცავ საქართველოს ფეხბურთის ყველა მოყვარულს და სპორტსმენს ამ გამარჯვებას. როგორც ჩანს, ქართული საბჭოთა ფეხბურთის მესამე თაობამ მოიპოვა ის, რაზეც ოცნებობდნენ შოთა შავგულიძე, პაიჭაძე, ღოლოგერიძე, და ქართული ფეხბურთის სხვა ოსტატები.

ნაიმ იუსუპოვი.
ავტომობილისტების მძღოლი.

—ორი დღეა თბილისელ დინამოელებს ვატარებდი. ყველა შემოყვარდა. კარგი ბიჭები არიან. ჩემ შრომასაც არ ჩაუვლია ამაოდ. ვულოცავ ჩემს ახალ მეგობრებს.

თქვენი გამარჯვებისა იყოს, თბილისელებო!
მხატვარი ი. ქოქიაშვილი.

პირველი წიგნი ჩემპიონზე

გუშინ დამთავრდა დიდი ასპარეზობა საბჭოთა კავშირის 1964 წლის პირველობაზე ფეხბურთში... გამომცემლობა „ნაკადული“ დღეს სპორტის მოყვარულთ სთავაზობს დასურათებულ წიგნს — „თამაშობს თბილისის „დინამო“ — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი“.

წიგნს, რომლის ავტორია ბ. ქორქია, წინ უძღვის სპორტის დამსახურებული ოსტატის ბ. პაიჭაძის მიმოცვა.

ჩემპიონატები და ადგილები

როგორც ცნობილია, 1936 წელს თბილისის „დინამომ“ ფეხბურთელებმა „ბ“ ჯგუფში პირველი ადგილის მოპოვებით ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის გათამაშების „ა“ ჯგუფში გადაინაცვლეს და ამავე წლის შემოდგომაზე მერვე გუნდად ჩაებნენ სსრ კავშირის მეორე პირველობის გათამაშებაში. მათი დებიუტი „ა“ ჯგუფში მესამე საპრიზო ადგილით აღინიშნა. მას შემდეგ 25 ჩემპიონატი გაიმართა და მათში თბილისის დინამოელთა შედეგი ასეთი იყო:

	მ.	ფ.	წ.	გ.	ად.
1936 წ.	3	3	1	14:9	III
1937 წ.	7	4	5	30:24	IV
1938 წ.	11	9	5	53:38	VI
1939 წ.	14	5	7	60:41	II
1940 წ.	15	4	5	56:30	II
1945 წ.	9	8	5	37:22	IV
1946 წ.	15	3	4	47:26	III
1947 წ.	14	5	5	57:30	III
1948 წ.	13	7	6	54:35	IV
1949 წ.	15	10	9	62:45	VI
1950 წ.	20	7	3	78:50	III
1951 წ.	15	6	7	59:36	II
1952 წ.	5	6	2	19:12	IV
1953 წ.	11	5	4	39:24	II
1954 წ.	9	5	10	38:47	VIII
1955 წ.	6	4	12	25:36	IX
1956 წ.	8	4	10	42:46	VIII
1957 წ.	8	5	9	27:33	VII
1958 წ.	8	3	11	34:55	IX
1959 წ.	12	3	7	48:33	III
1960 წ.	14	8	8	67:44	VIII
1961 წ.	13	7	10	50:30	VII
1962 წ.	16	10	6	46:30	III
1963 წ.	17	13	8	56:42	V
1964 წ.	18	10	4	48:30	I
	296	154	169	1146:848	

ტაშკენტური ნაკვესები

△ **თბილისის** დინამოელებმა მოსკოვის „ტორპედოსთან“ თამაშის შემდეგ თბილისში ხუთიანები გაინაღდეს და ტაშკენტში — ხუთქიმიანებიო.

△ **მოსკოვის** „ტორპედოს“ ჰკითხეს, ამ ერთი თვის მანძილზე თბილისის „დინამოსთან“ როგორი ბალანსი გაქვსო, და — ერთი თამაში იმან მოიგო და ერთიც მე წავაგეო.

△ **ოქროს** მედლებმა ჩაიცინეს — ტაშკენტისაკენ მიმავალ დინამოელებს გულში ვყავდით გამონასკვული, უკან დაბრუნების დროს კი მკერდზე ამოვცოცდებითო.

△ **ტორპედოელებმა** დაიჩივლეს — ბოლოს გავცეცხლდით, მაგრამ მაინც გავვერცხლდითო.

△ **ტორპედოელებმა** ჩაიცინეს — ახლა კი მივხვდით, ამ ქალაქს რატომ ჰქვიან ტაშკენტი — ტაში დაგვაკლო და კენტი ბურთი გაგვატანაო.

ვახტანგ ჯავრიშვილი.

ტელევიზია

19 ნოემბერი

12.00 — კონნარკვეი, 12.20 — მხატვრული ფილმი „ნინო“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „ზღაპარი დაკარგულ დროზე“, 19.25 — „ჩვენი სტუმრები“, 19.40 — კონნარკვეი, 20.00 — გადაცემა „აბდურაშმან ჯამი“, 20.20 — კონცერტი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტების მონაწილეობით, 20.50 — მხატვრული ფილმი „ნინო“, 22.20 — ახალი ამბები.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. კომუტატორი: 3-15-00-დან 09-მდე. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 3-22-89, მრეწველობის — 3-20-43, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-35-01, ინფორმაციის — 3-16-90, უცხოეთის — დამ. 5-22, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — დამ. 5-76, განცხადებების — 3-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 08396

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.